შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 29222

09/06/2014

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის - სასაქონლო ნიშნის „BAILEY'S ORIGINAL IRISH CREAM" სსიპ _ შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ1" ქვეპუნქტისა და პატენტრწმუნებულ თამარ კოჭლამაზავილის მ/წლის 15 მაისის N 69307/21 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაგრძელდეს „რ & ა ბეილი & კო"-ს (მის.: ნენგორ ჰაუზი, ვესტერნ ისტეიტი, დუბლინი 12, IR) კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის - სასაქონლო ნიშნის **„BAILEY'S ORIGINAL IRISH CREAM"** სსიპ - შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრაციის ვადა ორი წლით.

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ერთი თვის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 24 სექტემბერს.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი